კონტროლის ლოკუსის მიმართება შფოთვასა და დაძლევის სტილთან პანდემიის პირობებში.

გიორგი ცალხელიშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა: კლინიკური ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ია შეყრილაძე, ფსიქოლოგიის დოქტორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

გიორგი ცალხელიშვილი

2021 წელი

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია თბილისის მაშტაბით 18-88 წლამდე მოსახლეობის კონტროლის ლოკუსის, სიტუაციური შფოთვის და კოვიდ წუხილის მიმართება სტრეთან გამკვლავების სტილებთან კოვიდ პანდემიის პირობებში. ასევე ცალკეულ ცვლადებად აღებულია სოციალური დისტანცირება და ეკონომიკური წუხილი კოვიდ იზოლაციის პირობებში.

კვლევაში მონაწილეობა მიიღო 730-მა ზრდასრულმა რესპოდენტმა, როელთაგან 555 იყო მდედრობითი სქესის ხოლო 175 მამრობითი. მონაცემები კოვიდ რეგულაციების გათვალისწიენბით შეგროვდა ონლაინ პლათფორმის დახმარებით.

გამოყენებული ინსტრუმენტები:

კვლევაში გამოყენებულია "სპილბერგის შფოთვის სკალა“ (STAI), ჯულიან ბერნანდ როტერის კონტროლის ლოკუსის კითხვარის შემცირებული ვერსია, ია შეყრილაძის და ნინო ჯავახიშვილის მიერ თარგმნილ და ადაპტირებულ კითხვარი გამკვლავების სტილებზე, ეკონომიკური წუხილის, კოვიდ წუხილის და სოციალური დისტანცირების კითხვები.

კვლევის პროცესში მოხდა შინაგანი და გარეგანი ლოკუსის სკალების მიმართების გადამოწმება სიტუაციურ შფოთვასთან, შედეგად დადგინდა, რომ შინაგანი ლოკუსი უარყოფითად ხოლო გარეგანი ლოკუსი დადებითად კორელირებს მოცემულ ცვლადთან.

გამოვლინდა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კორელაცია კოვიდ წუხილსა და ლოკუსის კონტროლის სკალებს შორის.

გამოვლინდა დაბალი კორელაცია გარეგან ლოკუსსა და გამკვლავების ემოციაზე ფოკუსირებულ სტილებს შორის, თუმცა გადამწყვეტი როლი სტილებთან მიმართებით ენიჭება სიტუაციურ შფოთვა